


მულ ახალი კომპლექსი პილვე მართვალ ავასტურებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიდ ზრუნვას საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის ბიუსთვის. ახალგაზრდობის უფლებების, ჰარმონიული აღზრდისთვის



მულ კომპლექსის ნორ-
მატივების ჩაბარება ურ-
ველი საბჭოთა პატრიო-
ტის ვალი.

პროლეტარმათ შველა ძვენილა, შვერტლითი



საპარტველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და
სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете
Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

1972 წ.
№ 69 აპრილი,
(4579) შაბათი.
ფასი 8 კაპ.

გაზეთი გამოდის
1984 წლის
18 აპრილიდან

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტში

ახალი კომპლექსის დასახელება

როგორც ცნობილია, სკკ ცენტრალური კომიტე-
ტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვე-
ტილებით 1 მარტიდან მწეობრში ჩაღვა „მულ ვარ
შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ (მულ) ახალი
საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი.

მულ ახალი კომპლექსის შემოღება კიდევ ერთხელ
ნათლად ადასტურებს კომუნისტური პარტიისა და
საბჭოთა მთავრობის ზრუნვას საბჭოთა ადამიანის
ჯანმრთელობის გაკეთებისა და ფიზიკური აღზრდის-
თვის.

სკკ XXIV ყრილობამ დასახა საბჭოთა ქვეყანაში
კომუნისტური საზოგადოების შემდგომი მშენებლო-
ბის ფართო პროგრამა, სადაც ახალი, სერიოზული
ამოცანებია წამოჭრილი ფიზიკური კულტურისა და
სპორტის შემდგომი განვითარებისთვის, საბჭოთა ხალ-
ხის უფველდლო ცხოვრებაში მისი დანერგვისთვის.
მულ ახალი კომპლექსი ფიზიკური აღზრდის საბჭო-
ური სისტემის საპროგრამო და სანორმატივო საფუძ-
ველია. იგი მოწოდებულია მნიშვნელოვანი როლი შე-
ასრულოს უფველდლო სრულყოფილი ადამიანების
აღზრდაში, შრომისუნარიანობისა და შრომისნაყოფი-
ერების ამაღლებაში, კომუნისტური მორალის, საბ-
ჭოთა პატრიოტიზმის გაძნობის, სამშობლოს დაცვის-
თვის მზადყოფნის გამოუმუშავებაში, გონივრული და-
სვენების ორგანიზაციაში.

მულ ახალი კომპლექსის შემოღება კიდევ ერთხელ
ადასტურებს ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტე-
მის სრულყოფის საქმის დიდ საზოგადოებრივ და სა-
ხელმწიფოებრივ მნიშვნელობას.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, „მულ ვარ შრო-
მისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი საკავშირო
ფიზკულტურული კომპლექსის შემოღების თაობაზე
სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მი-
ნისტრთა საბჭოს დადგენილების უკეთ შესრულების
მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არ-

სებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კო-
მიტეტმა დაადგინა:

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგა-
ნიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს
ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობის შემდგომი
ზრდა, მომზადება ყოველმხრივ განვითარებული და
ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანებისა, რომელთაც
შესწევთ უნარი მადანსაყოფიერად იშრომონ, დაცი-
ვან სოციალისტური სამშობლო, განახორციელონ მათს
წინაშე დასახული ამოცანები მულ ახალი კომპლექსის
საფუძველზე.

ახალი კომპლექსი ფართოდ იქნეს გამოყენებული
მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებე-
ლი და სპორტული მუშაობის დროს; ახალი კომპლექ-
სის დასაწერად ფართო საქმიანობა გაჩაღდეს პროფ-
კავშირული, კომკავშირული და დოსაფის ორგანიზაცი-
ებთან მჭიდრო კავშირში.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაობაში
მაგალითი უჩვენონ სხვებს, თანსობა გამოიჩინონ,
ერთ-ერთმა პირველებმა ჩააბარონ ახალი კომპლექსის
ნორმატივები.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლი-
კურმა, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტე-
ტებმა, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა და
საუწყებო ფიზკულტურული ორგანიზაციათა შესახა: მი-
სმა საბჭოებმა დაამუშაონ და განახორციელონ სპე-
ციალურა ღონისძიებანი საბჭოთა ფიზკულტურული
მოძრაობის ყველა რგოლის მუშაობაში მულ კომპლექ-
სის პროპაგანდისა და დანერგვისთვის. ამ მიზნით:

აპრილში ჩატარდეს რესპუბლიკური, საოლქო, სა-
ქალაქო, რაიონული თათბირები და აქტივის კრებები
მულ ახალი კომპლექსის საკითხებზე; ამა წლის II
კვარტალში ჩატარდეს კრებები და აქტივის შე-

(დასასრული მე-2 გვ.).



საპარტველოს პროფკავშირში

იუბილეს აღსანიშნავად

ამას წინათ საქართველოს პრო-
ფკავშირის პრეზიდიუმმა მიიღო
დადგენილება სსრ კავშირის შექმ-
ნის 50 წლისთავის აღსანიშნავად
ფიზკულტურის კოლექტივებში,
სპორტულ კლუბებში მასობრივი
სპორტული შეჯიბრებების გამართ-
ვისა და საკავშირო მასობრივ ტუ-
რნირებში მონაწილეობის შესა-
ხებ.

დადგენილებაში ჩაწერილია,
რომ რესპუბლიკის საწარმო-და-
წესებულებების, კოლმეურნეობე-
ბის, საბჭოთა მეურნეობების, უმა-
ღლესი და საშუალო სპეციალური
სასწავლებლების ფიზკულტურის
კოლექტივებში, სპორტკლუბებში
იუბილესადმი მიძღვნილი შეჯიბრე-
ბები ფიზკულტურისა და სპორტში
მშრომელთა, მოსწავლეთა და მო-
სახლეობის სხვა ფენების მასობ-
რივად შიზადვის საშუალებად უნ-
და იქცეს.


შეჯიბრება ფიზკულტურის კო-
ლექტივების, სპორტკლუბების სა-
კრებ გუნდებს შორის, აგრეთვე,
„განთიადის“, „სპარტაკის“, „ლო-
კომოტივის“, „ეოლივის“, „კოლ-
მეურნის“, „შრომითი რევრეანე-
ბის“ კოლექტივების რესპუბლიკურ
აპარატებში გაიმართება თბი-
ლისში. მას წინ უნდა უძღოდეს
I და II ეტაპების შეჯიბრებები:
ტურნირები კოლექტივებში, რაი-

ონებში, ქალაქებში, ავტონომიურ
ოლქსა და რესპუბლიკებში.

ამ ამოცანის უკეთ გადასაწყვე-
ტად პროფკავშირთა რაიონულ, სა-
ქალაქო და რესპუბლიკურ საბჭო-
ებს, საფაბრიკო, საქარბნო და სხვა
ადგილობრივ კომიტეტებს, ნებაყო-
ფლობითი სპორტსაზოგადოებების
საბჭოებს დავალთ ვლევუს ქვე-
ლა საწარმოში, დაწესებულებაში,
უმაღლეს და საშუალო სპეცია-
ლურ სასწავლებელში, კოლმეურ-
ნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში
გამართონ მასობრივი ტურნირებში,
რომელთა დროსაც განსაკუთრებულ
ყურადღება დაუთმონ მულ ახ-
ალი კომპლექსის ნორმატივების
ჩაბარებას, თანრიგისათა მომზა-
დებას, შექმნან და სპორტული
ინვენტარი უზრუნველყოფონ ნაკ-
რები გუნდები, სათანადოდ მოამ-
ზადონ ისინი საკავშირო შეჯიბრე-
ბებში წარმატებით მონაწილეობის
თვის.

პროფკავშირის პრეზიდიუმმა სამი-
ნისტრობების უწყებების, საწარმო-
ების, მშენებლობების, სასწავლო
დაწესებულებების, კოლმეურნეო-
ბების, საბჭოთა მეურნეობების შე-
ღმძღვანელებს დაავალა ხელი შე-
უწყონ სპორტსაზოგადოებათა სა-
ბჭოებს სრულწლოვანი სასწავლო-
საწვრთნელი საქმიანობის მოგვა-
რებაში.


სსრ კავშირის შექმნის 50 წლი-
თავის იუბილეს აღსანიშნავად შე-
ჯიბრებებსა და საკავშირო ტურნი-
რებში წარმატებით მონაწილეობი-
სთვის პროფკავშირის პრეზიდიუმმა
შექმნა საორგანიზაციო კომიტეტი
(თავმჯდომარე — საქართველოს
პროფკავშირის მდივანი ი. ცანავა)
12 კაცის შემადგენლობით, საორ-
განიზაციო კომიტეტში შევიდნენ,
აგრეთვე, საქართველოს პროფკა-
ვშირის, ფიზკულტურისა და სპორ-
ტის რესპუბლიკური კომიტეტის,
საქართველოს კომკავშირის ცენტ-
რალური კომიტეტის, ნებაყოფლო-
ბითი სპორტსაზოგადოებათა საბ-
ჭოების წარმომადგენლები.



საპარტველო
გვეთის ჩაის საბჭოთა მე-
ურნეობაში მოეწყო მოჭარბა-
კეთა ტურნირი, რომელიც სსრ
კავშირის შექმნის 50 წლის-
თავს მიძღვნა. I ადგილი დაი-
კავა სამეურნეო ნაწილის გამ-
გებ ბ. დარჩანიათ, II ადგი-
ლზეა მოსწავლე ნონა მისიათ,
III-IV ადგილები დაიკავეს მუ-
შა გ. გულბანია და ფიზალბრ-
ლის მასწავლებელმა ი. მისია-
თა.

ი. ფოფონაშა,
საბჭოთა მეურნეობის კომ-
კავშირის კომიტეტის მდი-
ვანი.

მოსწავლეებო, მულ კომპლექსი თქვენი მოგვა-
ლი ფიზიკური სრულყოფის საფუძველია!



მულ მანეჟში დასასლდა

მულ ახალი კომპლექსის ნორმატივების წარმატებით ჩაბარებას სპო-
რტული დაოსტატებისთვის უდიდესი მნიშვნელობა რომ აქვს, ეს კარ-
გად იციან ქუთაისის „ლოკომოტივის“ მესვეურებმა. ამიტომაც მძლეო-
სნურ მანეჟში კომპლექსის ახალი ნორმატივების საავტოროდ მთ-
ქალ-ლონე არ დაუშოვავთ: დარბაზში უხვადაა პლაკატები, ლოზუნგე-
ბი, სტენდოც მოუწყვეათ. კომპოზიციას ახალი სამკერდე ნიშნის მოზრ-
დილი ნამუში ამუშვენებს.

მანეჟში ხშირად ნახავთ ახალგაზრდებს, რომლებიც ნორმატივების

ჩასაბარებლად მოსულან. ნორმატივების მიმღები კომისია მათს სამსახუ-
რად მუდამ მზადაა.

სურათზე: მულ ნორმატივების ჩაბარება ქუთაისის მანეჟში.
მარცხნივ — გამორბენით საგრძეზე ხტება ქალაქის მე-11 საშუალო
სკოლის მეათეკლასელი ნათელა კობახიძე; მარჯვნივ — ბაგირზე ცოც-
ვაში ნორმატივების ჩაბარების მომენტი.


ჭ. ფხაკაძის ტექსტი და ფოტოები.

კალატბურთი

კალატბურთი

კალატბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი



მიხეილ შორშია — პირველი სნაიპერი

ვილნიუსი, 6 აპრილი. ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ცნობილი გახდა იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც გაიხად დაბალ დონეში ითამაშებენ. ესენი არიან წლეუვანდელი დებიუტანტი — ვილნიუსის „სტატბა“ და თბილისის „ბურვესტნიკი“.

განვიღოთ ორ ტურში თბილისელმა სტუდენტებმა ჯერ კვივის არმიულტანთან წააგეს (51:63), მერე „ჟალკინისთან“ — 78:85. ბოლო ორ მატჩში ორი მარცხი იწვნია „სტატბა“-მაც: მოსკოვის დინამოელებთან მან წააგო ანგარიშით 58:80, ცსკა-სთან — 68:91. „ბურვესტნიკს“ ჩასატარებელი დარჩა მატჩები ლენინგრადის „სპარტაკთან“ და მოსკოვის „დინამოსთან“, მაგრამ მათს შედეგებს ქართული კალათბურთელებისთვის არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს. ბოლო შეხვედრებმა შესამჩნევად შეცვალა ბრინჯაოს მედლებისთვის მებრძოლთა მდგომარეობა. ფინიშიმდე ორი ტურით ადრე დავს გამოვიანა კიევის „სტროიტელი“. თავისი ადგილი მან თანაქალაქელ არმიულტანს დაუთმო, რომლებსაც, ისევე როგორც თბილისის „დინამოს“, 12 ქულა აქვთ. „სტროიტელი“ შედიხვდ ორჯერ დამარცხდა: „ჟალკინისთან“ (78:87) და „კალკთან“ (51:54). კიევის არმიულტანმა ერთი ბრძოლა მოიგეს („ბურვესტნიკთან“ — 63:51) და

ერთიც მძაფრი ბრძოლის შემდეგ დათმეს (ლენინგრადელებთან — 52:54). თბილისის „დინამოს“ სწორად წამართა შესვენების პირველი ნახევარი სსრ კავშირის ჩემპიონთან — ცსკა-სთან. გუნდის მწვრთნელმა ბრძოლის ბედი სათადარიგო შემადგენლობას ანდო და მას კონკრეტული გეგმა დაუხატა: არ აპყლოდა მეტოქეს სისწრაფეში და მოედუნებინა მისი სანრძობო სულისკვეთება. სუთელმა, რომელშიც შედიხვდენ ჯგერენია, ქუთათელაძე, მალაღვილი, ვასილტენსკი და ფიცხელაური (მოგვიანებით

მათ შეუერთდა ნ. ქორტია — დინამოელთა მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ო. ქორტიას ვაჟი), წარმატებით გაართვა ავჯი ამოცანას. არმიულტანს საბრძოლო ხუთელმა (ქარმუხაძე, ს. ბელივი, კოვალენკო, კულკოვი, ილიუკი) ვერაფრით დააღწია თავი თბილისელთა ტაქტიკურ მხსეს, აპყვა მათ ნელ თამაშში და, თქვენ წარმოიდგინეთ, „უარესი პოზიცია“ მიიღო (ქარმუხაძე მოგოს უკვე პირველივე ტაიმში 4 პერსონალური შენიშვნა ჰქონდა მიღებული. ჯარიმების შიშით მწვრთნელმა გუნდის სხვა წევრებიც დაასვენა, მათ შორის, ვლემო და კოვალენკო). ტაიმის მიწურულს არმიულტანს რამდენიმე სწრაფი შეტევა განახორციელეს და სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ ჩემპიონი შესვენებამდე 11-ქულიანი უპირატესობით (47:36) წავიდა.

მეორე ტაიმში თბილისელებმა ძირითადი ძალებით წამოიწყეს იერიშები, მაგრამ სულ მალე მიხვდნენ, რომ ცსკა-ს წინააღმდეგ სწრაფ, ტენიან თამაშს აზრი არ ჰქონდა. მხსენენ, მაგრამ უკვე გვიან იყო. დარჩენილ დროში „დინამოს“ მხოლოდ ვალს იხდიდა — ოგი წაგებას შეურიგდა და ფარ-ხმალიც დაყარა. გაიმარჯვა ცსკა-მ — 90:64.

მოსკოვის თანაკლებლებთან მატჩი (ოგი მეორე დღეს შედგა) თბილისელებმა აღმავლობით ჩაატარეს და საჩუქრად მეტად საკმარის ქულა მიიღეს (73:68). სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის „დინამოს“ წლეუვანდელ გათამაშებაში სამივე შეხვედრა მოუყო მოსკოველ თანაკლებლებს.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: კაუნასა და ვილნიუსში გათამაშებული შედეგი კალენდარული ტურის შემდეგ საუკეთესო სნაიპერია თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი მ. ქორტია, მის აქტიუობა 138 ქულა.

დინარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „დინამოს“ (მოსკოვი) — „სტატბა“ (ვილნიუსი) 80:58, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „კალკი“ (ტარტუ) 69:60.

მათაქვალ!


პრადან, 6 აპრილი. დღეს აქ გაიმართა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თანხის გათამაშების მეორე ფინალური მატჩი რივის ტბტსა და პრადის „სპარტაკ ჩედს“ შორის. გაიმარჯვეს რიველებმა — 86:59 (40:28).

ყველაზე მეტი ქულა (30) თავის გუნდს სემიონოვამ შეიძინა. ჩეხოსლოვაკიელთა შორის საუკეთესო სნაიპერი იყო როშევა — 21 ქულა. ტბტ-მ ეს საპატიო ჯილდო მეცამეტედ მოიპოვა. ასეთი წარმატება კალათბურთის ისტორიაში არც ერთ გუნდს არ ჰქონია. გამარჯვებულ კოლექტივს 1964 წლიდან წვრთნის სპორტის ოსტატ რ. კარნატიხი.

გათამაშების ცხრილი

Table with columns: მდგომარეობა, 2 აპრილისთვის, თ. მ. წ., ბ., ქ. Rows include teams like 'სსსპ', 'სპარტაკი', 'დინამო', etc.

შეჯიბრება ეთერში




უკვე 46-ე დღეა გრძელდება რადიოქსპედიცია, რომელიც საკავშირო აღკვ. ცენტრალური კომიტეტის, დოსაღის, რადიოსპორტის საკავშირო ფედერაციისა და ჟურნალ „რადიოს“ თაოსნობით ტარდება. 6 აპრილს ვახტე დადგა ზერბაიჯანის 5 სამოყვარულო რადიოსადგური, რომელთაც ესტაფეტა საქართველოს სპორტსმენებისგან მიიღეს. ისინი სურთ დღე-ღამის

განმავლობაში არ გაწყვეტენ კავშირს მსოფლიოს მოკლელალოსნეობთან და ეთერში გავრცინან „სსრკ-50“ რადიოქსპედიციის სიგნალებს. შედეგ დღის შემდეგ ამიერკავკასიელებს ლიტვის რადიოსადგურები შეეცვლიან, როგორც საკდესის კორესპონდენტს „რადიოქსპედიციის“ შტაბში უთხრეს, რუსეთის ფედერაციის რადიოსადგურებმა ერთი კვირის განმავლობაში 180 ქვეყნს 40 ათას რადიომოყვარულთან დაამყარეს კავშირი. მაგალითად, კუბისთვის გუნდის მეთაურმა, სპორტის ოსტატმა ი. მატჩიენკომ მარტო ერთ დღეში 36 ააპონელ მოკლელალოსნეობთან დაამყარა კავშირი, მისი თანაგუნდელი სპორტის ოსტატი ა. კალამიაგინი 22 წუთში სურთ კონტინენტის კოლეგებს გამოეცხადებინა.

„რადიოქსპედიცია“ ბელორუსიელ მონაწილეებს. მათ 118 ქვეყნის სპორტსმენთა სიგნალები მიიღეს და პასუხიც გასცეს. ეს საინტერესო შეჯიბრება 7 ივნისს დამთავრდება.

● ბუშარმსტი, 5 აპრილი. დიაცის ქვეშ თავისი პირველი გამოსვლა 24 წლის რუმინელმა მილფოსანმა ქალმა ა. მენისმა ბრწყინვალე შედეგით აღინიშნა: 63,42 მეტრზე ტყორცნა ბადრთ. ეს მარცხენიერი ერთამხად 2,34 მეტრით სკოპს ვრონეულ რეორდს და ახალგაზრდა სპორტსმენს ყველა დროის საუკეთესო ბადრის მტყორცნელთა სიაში V ადგილზე აყენებს. ასე შორს წლეულს ეს იარაღი მხოლოდოს სტალიონებზე არავის უტყორცნიდა.



● შირბანა, 5 აპრილი. სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. ჩერეპოვიჩის სსოვის პრის დასალოებით 178 ველოსიპედისტი ეცილებოდა ერთმანეთს. სტარტზე გამოვიდნენ პროფესიონალი სპორტსპორტდებების გუნდების, შეიარაღებული ძალებისა და „დინამოს“ როგორც ახალგაზრდა, ისე გამოცდილი მობოლელები. თხსლიანნი ასპარეზობის შედეგად ქულათა საუკეთესო ჯამი დაურთოდა არმიულტანს (კუაბიშვილი). ცალკეულ სახეობებში პირველი იყვნენ: ოსკელი სტუდენტ რ. მარაფულინი (30-კილომეტრიანი რბოლა დაყოფილი სტარტით — 42.34,46), მოსკოვის დინამოელი ა. ონიგოვი (115 კილომეტრზე ჯგუფური რბოლა — 2:25.10), გორკელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ლისაჩოვი (კრიტიკურში 81 კმ-ზე — 1:45.49) და ბაქოელი სტუდენტი გ. მენშავეი (146 კილომეტრზე ჯგუფური რბოლა — 3:23.44).

● პარნი, 5 აპრილი. თარჯიბენში ევროპის „ზამთრის“ ჩემპიონი, 20 წლის ფრანგი ვ. დრიუ მძლეოსნობის კიდევ ერთი სახეობით — ქოკით ხტომითაა გატაცებული. საფრანგეთის დედაქალაქის დარბაზში გამართულ შეჯიბრებაში მან 520 სმ სიმაღლე გადალახა, რაც ჰოკით ხტომის „წმინდა“ ოსტატსაც შეუზღებოდა. გამორიცხული არაა, რომ ოლიმპიურ წელიწადს თარჯიბრბენალი დრიუ ათქიდაში გამოვიდეს და მასინ ჰოკით ხტომა მს ხელშესახებ „კოზირს“ მისცემს.

● პირიუსი, 6 აპრილი. აქ დაიწყო სამთომოსთილამურე ქალთა საკავშირო პირველობა. ოქროს 2 მედალი დაისაკუთრა გ. შხოვამ (მოსკოვის ოლქი, შეიარაღებული ძალები), რომელმაც სწრაფდარბეზზეც მოიგო (1.18,2) და გიგანტური სლალომიც (1.29,2). სწრაფდარბეზში ევრცლის მედალი ნ. ხალსოვამ (კემეროვი, „ბურვესტნიკი“ — 1.18,3) დასაკუთრა, ბრინჯაოსი — ნ. მერკულოვამ (მოსკოვი, „სპარტაკი“ — 1.18,4). გიგანტურ სლალომში II და III ადგილები ს. ისაკოვასა (მოსკოვი, „ტრუდი“ — 1.52,0) და ს. დუმბროვიანს (პერმი, „ტრუდი“ — 1.32,2) ხვდათ.

● ულან-ბატორი, 6 აპრილი. მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის აქ მიმდინარე ღია საჭადრაკო ჩემპიონატში ლიდერობს ნოვოკუზნეცკელი ოსტატი ი. ანაკევი — 3,5 ქულა 4-დან. შეჯიბრებაში მასპინძლებს გარდა მონაწილეობს ორ-ორი მოჭადრაკე სსრ კავშირიდან და პოლონეთიდან.

● სარაშვი, 6 აპრილი. მიიწურა აქ მიმდინარე ტრადიციული, XV საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. მხოლოდ დასკენით ტური დარჩა სათამაშო, მანამდე კი გადამდებული პარტიების დამთავრება მოწყობდა. 14 ტურის შემდეგ ლ. საბოს (უნგრეთი) 10,5 ქულა აქვს, ტ. პეტროსიანს (სსრ კავშირი) — 9 ქულა და 1 გადამდებული პარტია, გ. პორტსა და გ. იანსას (ორივე — ჩეხოსლოვაკია) — 9-9, პ. კერესს (სსრ კავშირი) — 8 ქულა და 1 გადამდებული პარტია. XIV ტურში პეტროსიანმა ყაიმით დამთავრა შეხვედრა რაიკოვიჩთან (იუგოსლავია), ვერხმა — იანსასთან. საბოს მოუგო ბუკალს (იუგოსლავია).

ჩვენს მოკმა რესპუბლიკაში

ცნობები: ლენინგრადიდან, ლუზანბადან, ჩაოტაიდან, ნალჩიკიდან, ხარკოვიდან



პირველად ბაკურიანში

ამას წინათ ბაკურიანში ჩვენს რესპუბლიკაში პირველად გაიმართა უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლის პირადი პირველობა საყვარო სპორტში. ტურნირში მონაწილეობდნენ თბილისის, ბაკურიანისა და ბათუმის სპორტსმენები. 360 მეტრიანი ტრასა ა. ქუშარიტაშვილის ხელმძღვანელობით მოციგვე სპორტსმენებმა ააგეს.

შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფად ჩატარდა: გამარჯვებული ორი საუკეთესო ცდის ჯამით ვლინდებოდა. მოზრდილებში I და II ადგილები დაიკავეს საქართველოს ნაერების წევრებმა, ბაკურიანელმა მოციგვეებმა თ. თელაშვილმა (57,6) და გ. ჯავამ (1.00,5). III ადგილი წილად ხვდა თბილისელ მ. კობაქს — 1.01,0. მოზარდებში ყველაზე აჯობა გ. ჯემარტაშვილმა (ბაკურიანი) — 56,6.

გოგონებში I ადგილზე გავიდა ბაკურიანელი ქ. დვაური — 1.06,2. მს ბეგრად ჩამორჩნენ თბილისის 55-წამულო სკოლის მოსწავლე. თ. კობაქე (1.41,2) და ბათუმელი რ. გვილავა (1.43,4). თ. ნონიპაშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ფიზალზრდის მასწავლებელი.

ლაშრებატი, ავროსანი, მარათონელი

ტენიკურ მეცნიერებათა დოქტორს, სახელმწიფო პრემიის ოთხჯგის ლაურეატს, ლენინგრადის უსტი მექანიკისა და ოპტიკის ინსტიტუტის პროფესორს მ. რუსინოვს თავისიანად მიიჩნევენ არა მარტო ოპტიკური ხელსაწყოების ოსტატები, არამედ მუსიკოსებიც (სულ ახლახან დაწერა რუსინოვმა მშვენიერი ვალსი), აფროსნებიც, მარათონელი ცურვის მოყვარულებიც, „ლომევაშაპებიც“.

26 მარტს ლენინგრადის ზამთრის ცურვის კლუბის „ბოლოზია ნევას“ თავმჯდომარის მოადგილე მ. რუსინოვს 63 წელი შეუსრულდა. ბეგრმა მეგობარმა მიულოცა დაბადების დღე. თხუთმეტი წელია რუსინოვი ზამთარ-ზაფხულ ცურავს ნევაში. ზაფხულში ამხანაგებთან ერთად მარათონულ გაყურვას აწყობს მთელს ნევაზე, თითქმის 70 კილომეტრზე.

ვეტერანმა ლენინგრადელმა „ლომევაშაპმა“, რომელიც 25 წელია მისდევს ამ სპორტს, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პ. კადონიკოვმა რუსინოვზე თქვა: — მე მშურს პროფესორისა, რომლისთვისაც სპორტი ნამდვილ სასიცოცხლო მოთხოვნილებად იქცა. სწორედ სპორტი აძლევს უდიდეს ენერჯიას, ძლას, ოპტიმიზმს.

საინტერესოა, რომ მარათონელი ცურვის მოყვარულებიც, „ლომევაშაპებიც“ 26 მარტს ლენინგრადის ზამთრის ცურვის კლუბის „ბოლოზია ნევას“ თავმჯდომარის მოადგილე მ. რუსინოვს 63 წელი შეუსრულდა. ბეგრმა მეგობარმა მიულოცა დაბადების დღე. თხუთმეტი წელია რუსინოვი ზამთარ-ზაფხულ ცურავს ნევაში. ზაფხულში ამხანაგებთან ერთად მარათონულ გაყურვას აწყობს მთელს ნევაზე, თითქმის 70 კილომეტრზე.

ვეტერანმა ლენინგრადელმა „ლომევაშაპმა“, რომელიც 25 წელია მისდევს ამ სპორტს, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პ. კადონიკოვმა რუსინოვზე თქვა: — მე მშურს პროფესორისა, რომლისთვისაც სპორტი ნამდვილ სასიცოცხლო მოთხოვნილებად იქცა. სწორედ სპორტი აძლევს უდიდეს ენერჯიას, ძლას, ოპტიმიზმს.

სტუდენტური სტარტები

რესპუბლიკის უდიდეს სასწავლებელში — ტაქციკის გ. ი. ლენინის სახელობის უნივერსიტეტში XVIII სპარტაკიადის დროშა აღიმართა. 11 ფაქულტეტის სტუდენტები ერთმანეთს ეჯიბრებიან მძლეოსნობაში, ქიდაობაში, ჩოგბურთში, სპორტულ თამაშებში, კადრაკში.

მარტო ბოლო სამი წლის მანძილზე უნივერსიტეტში მოზაზდა 2 ათასამდე თანრიგოსანი, 20 სპორტის ოსტატი.

ტრადიციული სპარტაკიადები დაიწყო ტაქციკის შეიდ სხვა სასწავლებელშიც.

სპორტული კომპლექსი არქტიკაში

ჩუკოტკის სოფელ აპაპელსინოში, ჩრდილოეთ ყინულთვანი ოკეანის სანაპიროზე, საფუძველი ჩაეყარა ახალ შენობას — დაიწყო სპორტული კომპლექსის მშენებლობა. დაბის მცხოვრებთა საშუალებად ეგნებათ მთელი წლის მანძილზე ითამაშონ ფრენბურთი და კალათბურთი.

კომპლექსის პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე დარბაზებს კრივში, ჰი-ლაობაში, მხატვრულ ტანვარჯიშში, ძალსუნთბაბა და ფარეკობაში წვრთნისა და მეცადინეობისთვის.

საპეციალისტთა რიცხვი გაიზარდა

ყაბარდო-ბალყარეთის უნივერსიტეტში ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტი გაიხსნა. ამიერიდან რესპუბლიკაში სპორტის სპეციალისტთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მოიგახ... მანაეი

„სპორტლოტოს“ ერთ-ერთი ტირაჟის შემდეგ ხარკოვის მოსახლეობამ დაახლოებით 50 ათასი მანეთი მიიღო ამ ტირაჟის მიღებებით. ახალ თამაშში ხარკოველთა მონაწილეობას საგრძნობი შედეგი მოჰყვა. „სპორტლოტოსთან“ მიღებულ სახსრებით ხარკოვს 200 ათასი მანეთი გამოეყო ერთ-ერთ ახალ სახსრებულ მისი,ში მძლეოსნური მანეთის მშენებლობისთვის. ბაზის მშენებლობა წლეულს დაიწყება.

ევროპული ტურნირების ნახევარფინალები



თასების მფლობელთა თასი

ბერლინი, 5 აპრილი. გათამაშების პირველ ნახევარფინალურ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და მოსკოვის დინამოელები.

სტუმრებმა ძლიერი იერიშებით დაიწყეს თამაში და რამდენიმე საწიფათო მომენტზე შექმნეს ერთ-ერთი ასეთი შეტევისას ზიკოვის ძლიერად დარტყმული ზურთი ოდნავ ასცდა კარს.

შესვენებამდე ანგარიში არ გახ-

სნილა. 54-ე წუთზე ბაილანი გავიდა რამდენიმე მცველს შორის, გადააწოლა ბურთი მარცხნივ და ევროელებისმა გახსნა ანგარიში — 1:0.

შემდგომში ინიციატივამ ბერლინელთა მხარეს გადაინაცვლა და მეორე პოლგუის რამდენიმე მწელი ბურთის აღება მოუხდა.

უკვე მაშინ, როცა მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, მოხდა კუროლული ამბავი: მოსკოველთა საჯარო მოვლანზე მოთამაშეები შეეჯახნენ ერთმანეთს. კოტეშიაქინმა, რომელიც მცველთა დასახმა-

რებლად იყო თავისი კარის სიახლოვეს, მიიჩნია, რომ არბიტრმა დასტურა და... ხელში აიღო ბურთი. მსაჯმა დაუყოვნებლივ დანიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა იოჰანსენმა — 1:1.

მოსკოველები ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: პილგუი, ბასალაევი, ზიკოვი, სიბო, დოლმატოვი, ქუკოვი, იაკუბიკი, მახოვიკოვი, ბაილანი, კოქეშიაქინი, ევროელებისნი.

მოსკოვისა და ბერლინის დინამოელთა განმეორებითი ნახევარფინალური მატჩი გაიმართება 20 აპრილს. მისი ჩატარების ადგილი მოგვიანებით დადგინდება.




გათამაშება დაიწყო

6 აპრილს დაიწყო საქაფშირო გათამაშება „ა“ კლასის I ლიგის გუნდებს შორის. მოგვყავს პირველი ლდის შედეგები:

„უახაქორი“ (ტაშკენტი) — „ზეზდა“ (პერმი) 0:0, „ჩერნომორეცი“ (ოლსა) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:0, „მეტალურგი“ (ხაბროვსკი) — „მეტალი სტი“ (ხარკოვი) 0:0, „სტროიტელი“ (მხაზაბდი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 2:1, „ალგა“ (ფრუნზე) — „მანტიორი“ (ყარაღანდი) 1:1, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ტექსტილშიკი“ (ივანოვო) 1:0, „კრივბასი“ (კრივიო როკი) — „დინამო“ (ლენინგრადი) 2:1, „ავტომობილისტი“ (ორჯონიკიძე) — „მანტიორი“ (დონეცი) 1:1, „პამირი“ (დუშანბე) — „კოილა სოვეტოგი“ (კუბიშევი) 0:0.



ქალთა ფეხბურთი თანდათან იკიდებს ფეხს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. სხვათა შორის, შარშან საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ქალაქშიც გაიმართა ქალთა გუნდების საჩვენებელი შეხვედრები, რომლებმაც ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია. ქალთა ფეხბურთის დანერგვის ერთ-ერთი თაოსანი და პროპაგანდისტია შევციის ფედერაცია. ამ სურათზე თქვენ სწორედ შევედ ფეხბურთულ ქალებს ზედათ, რომლებიც სათამაშოდ გამოდიან მინდორზე.



საბჭოთა ტანვარჯიში პოლონეთში სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება. სპორტის ამ წარმატებულ ნახევარს განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. სურათზე ადრეველია პოლონეთის ერთ-ერთი საუკეთესო ტანვარჯიში ტ. ვესოლი შეკიბრების დროს.

ამავე გათამაშების მეორე ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „ბიერნი“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და „გლაზგო რინჯერსი“ (შოტლანდია). ეს შეხვედრაც ფრედ დამთავრდა — 1:1.

ჩამვირთა თასი

იტალიის „ინტერნაციონალისა“ და შოტლანდიის „სელტიკის“ შეხვედრაში ანგარიში არ გახსნილა — 0:0. პოლანდის „აიაქსმა“ დამარცხა პორტუგალიის „ბენფიკა“ — 1:0.

უფა-ს თასი

ინგლისის „ტოტენჰემ პოტსპურმა“ ანგარიშით 2:1 მოუგო იტალიის „მილანს“. ფრედ დამთავრდა უნგრეთის „ფერენცვაროშისა“ და ინგლისის „ველვერპემპტონ უოლდერსის“ მატჩი — 2:2.

განმეორებითი ნახევარფინალური მატჩები გაიმართება 19 აპრილს.

ინკვირ 33-ის გარეშე

შარშანდელი საფეხბურთო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ სტატისტიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ თბილისის „დინამოს“ რამდენიმე კუროლული ამბავი შეეშინებოდა ციფრ 33-ის გარეშე.

მე მინდა ზოგიერთი რამ დავუმატო ამ საინტერესო დამთხვევას. შარშანდელი ჩემპიონატის უახასყნელი ბურთი გატანილი იქნა მეორე ტაიმის 33-ე წუთზე, თუ თბილისის „დინამოს“ მიერ დაგროვილ ქულებს (36) დაუმატებთ XXXIII ჩემპიონატში ჩატარებული თამაშების რაოდენობას.

(30) და გაყოფთ შუაზე, მივიღებთ ინაჯ ციფრ 33-ს.

სხრ კავშირის ხუთ ჩემპიონატში თბილისელებს დაგროვილი ქონდათ 33 ქულა — 1939, 1946, 1947, 1948, 1961 წლებში.

1971 წელს დინამოელებმა გაიტანეს 33 ბურთი, ხოლო თთს გათამაშებაში გაუშვეს 33 ბურთი — 1957, 1959, 1967, 1971 წ. წ.

წლებადელი საკავშირო ჩემპიონატი თბილისის „დინამოსთვის“ რიგით 33-ე იქნება. **ბ. ვსაპია.** სოხუმი.

ვეტერანი მამების კვალზე

ასლახან კასპში გაიმართა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირველთა თავისუფალ ჭიდაობაში 1954-55 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. შეჯიბრებამ ჭიდაობის ადგილობრივი ქომაგთა დიდი ინტერესი გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ ამ ასპარეზობამ განსაკუთრებით ბევრი სპორტსმენი მიიზიდა: სამრისო ადგილებს 174 ჭაბუკი ეცილებოდა ერთმანეთს. ყველაზე მეტი მონაწილე ჭაბუკი 60 კგ-მდე წონის ათლეტთა შეჯიბრებას. საერთოდ, თითქმის ყველა წონაში ბევრი ნაჭიერი მოჭიდავე გამოვიდა. გამონაკლისია მხოლოდ 87 კგ-მდე და მძიმე წონები, სადაც მხოლოდ 5-5 მოჭიდავე ემართა ერთმანეთს. რა-მონაკლისია მხოლოდ 87 კგ-მდე და მძიმე წონები, სადაც მხოლოდ 5-5 მოჭიდავე ემართა ერთმანეთს. რამდენიმე ვეტერანი მოჭიდავეც გამოვიდა. გამარჯვებულთა შორის გამოირჩეოდა ამბროლაურელი ნ. მეტრეველი (75 კგ), რომელმაც ყველა შეხვედრა იშვიათი მოჭიდაობით, ლამაზად ჩაატარა და, რაც მთავარია, ჭიდაობის მრავალფეროვანი ილეთების ცოდნა გამოავლინა — ყველა ბრძოლას ტაქტიკურად სწორად წარმართავდა.

70 კგ წონის მოჭიდავეებში პირველობისთვის გამართული დასკვნითი შეხვედრა წითელწყაროელი თ. ყაჭაშვილისთვის დრამატულად დამთავრდა. ყაჭაშვილი თითქმის მთელი შეხვედრის მანძილზე სჯობდა ს. ბაუზლიანს (აფხაზეთი) და ქულების დიდი მარაგითაც იმარჯვებდა, მაგრამ ბოლო წუთზე ბიუბლიანმა შედარად წინააღრებილი მეტოქის დამარცხება.

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ წარსულში საქვეყნოდ ცნობილი მოჭიდავეების კასპელი ლ. კაციაშვილისა და ონელი ა. მასიურაძის შვილები. შეჯიბრება საუკესოდ იყო ორგანიზებული. კასპელთა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეძლეს 174 მო-

ჭიდავის კარგად დაბინჯება და სათანადოდ მომსახურება. 14-18 აპრილს დონეცკში ჭაბუკთა საკავშირო ტურნირი გაიმართება. რესპუბლიკური შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა ნაჭრები, რომელიც მომავალ საპასუხისმგებლო ტურნირში იასპარეშებს. **ბ. გოქიაშვილი.**

პრიზიორები

45 კგ. 1. გ. სასუტიშვილი (ზუსტაფონი), 2. ზ. ციქურიშვილი (თერჯოლა), 3. პ. რომელაშვილი (სამხრეთ ოსეთი).

48 კგ. 1. გ. კაჯავეი (სამხრეთ ოსეთი), 2. გ. ჩალაძე (ონი), 3. გ. ლოლაშვილი (საგარეჯო).

52 კგ. 1. გ. ვეფხიშვილი (თელავი), 2. ზ. ჯაბიძე (მაიაკოვსკი), 3. შ. კაციაშვილი (კასპი).

56 კგ. 1. რ. გოგრიძიანი (ონი), 2. რ. ლაზიშვილი (აჭარა), 3. გ. ბუჯიაშვილი (კასპი).

60 კგ. 1. გ. ინასარიძე (ორჯონიკიძე), 2. გ. მისურაძე (ონი), 3. ა. კიკვაძე (ამბროლაური).

65 კგ. 1. ა. კოტორაშვილი (ლანჩხუთი), 2. ტ. ქურული (საგარეჯო), 3. გ. ვაშაყმაძე (განი).

70 კგ. 1. ს. ბიუბლიანი (აფხაზეთი), 2. თ. ყაჭაშვილი (წითელი წყარო), 3. დ. სანებლიძე (ამბროლაური).


75 კგ. 1. ნ. მეტრეველი (ამბროლაური), 2. ა. გურგენიძე (მაიაკოვსკი), 3. გ. კიხიანი (აჭარა).

81 კგ. 1. თ. კიკვაძე (განი), 2. ტ. კილაძე (აჭარა), 3. რ. ტყეშელაშვილი (ონი).

87 კგ. 1. თ. კვარაცხელია (აფხაზეთი), 2. რ. ფუტყარაძე (განი), 3. ა. მიქელაძე (აჭარა).


მძიმე. 1. გ. შუბითიძე (კასპი), 2. თ. ტუტიაშვილი (გურჯაანი), 3. გ. ჩითინაშვილი (სიღნაღი).

რედაქტორი მ. პაპაბაძე.



ფეხბურთი. საქართველოს პირველობა, 8 აპრილი, ასკ-სტადიონი. ფეხბურთის ინსტიტუტი (თბილისი) — „განთიადი“ (ბორჯომი). დასაწყის 13 ს. ვარკეთილის სტადიონი. „ვარკეთილი“ (გარდაბანი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედი). 16 ს. „ლოკომოტივის“ ბაზა დილოში. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — ასკ (თბილისი). 16 ს. 30 წ. მოზარდთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. 8 აპრილი, ასკ-ს სტადიონი. განათლების განყოფილება (თბილისი) — „ლილა“ (გორი). 11 ს. 30 წ. 9 აპრილი. „ისნის“ სტადიონი. „განთიადი“ (თბილისი) — მწვრთნელთა სკოლა (თბილისი). 12 ს. „დინამოს“ ბაზა დილოში. „აჯაზა“ (თბილისი) — „დინამო“ (თბილისი). 15 ს. **სსსრფსო სროლა.** ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სასროლეთი. 8-9 აპრილი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა იუნიორთა შორის. დასაწყისი 10 ს. 30 წ.

„ლოკომოტივის“ სტადიონი



ქალთა ლიგა

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი)

9 აპრილს
სათადარიგო შემადგენლობანი დასაწყისი 15 ს.

10 აპრილს
ძირითადი შემადგენლობანი დასაწყისი 19 ს.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა: აბონემენტზე — 8 აპრილს 12-დან 19 საათამდე სტადიონის სალონებში; საერთო გაყიდვა — 9 აპრილს 10 საათიდან.